დამატებით დროში

მოსკოვის “სპარტაკი“ - თბილისის “დინამო”

5 ნოემბერს ფეხბურთის გულშემატკივრებმა წელს უკანასკნელად აავსეს თბილისის “დინამოს” სტადიონის ტრიბუნები. მასპინძლები მერვედფინალურ მატჩში სსრ კავშირის თასზე ხვდებოდნენ საბჭოთა კავშირის გასული წლის ჩემპიონსა და თასის მფლობელს მოსკოვის “სპარტაკს”. ცნობილია, რომ ჩემპიონმა 1959 წლის პირველობაზე საგრძნობლად დათმო პოზიციები და საბოლოოდ მეექვსე ადგილით დაკმაყოფილდა. ამასთან პირველობის მეორე წრეში ქართველ დინამოელებთან შეხვედრაში ისინი საკუთარ მოედანზე დამარცხდნენ - 4:5. მაგრამ ეს იყო “სპარტაკის” უკანასკნელი მარცხი - მომდევნო მატჩები მან დიდი აღმავლობით ჩაატარა და არც ერთი წაგება არ ჰქონია საჩემპიონატო მატჩებში.

სწორედ ამიტომ როდესაც მეტოქეები მოედანზე გამოვიდნენ, წინასწარ ძნელი იყო პროგნოზის გაკეთება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ “სპარტაკს” საპატიო ჯილდოსათვის ბრძოლის უფლების შენარჩუნებასთან ერთად პასუხსაგები საერთაშორისო მატჩების წინ (ბრაზილია, ურუგვაი, პარაგვაი) მხოლოდ მოგება აწყობდა. მასპინძელთა რიგებს ამჯერად აკლდა გუნდის ვეტერანი ა. ღოღობერიძე, რომელიც ჩვეულებრივ თავდასხმის ორგანიზატორის როლში გამოდის. იგი ახალგაზრდა ჟორდანიამ შეცვალა. “სპარტაკი” კი თავის საბრძოლო შემადგენლობით გამოვიდა. მოედანს დაუბრუნდნენ გამოცდილი სიმონიანი (#9) და სალნიკოვი (#10).

დასაწყისში დინამოელები არაზუსტად მოქმედებდნენ და ხშირად კარგავდნენ გადაცემებს, რამაც მოწინააღმდეგეს საშუალება მისცა საპასუხო იერიშებზე გადასულიყო. სულ მალე მასპინძლებმა გამოასწორეს თამაში და მე-6 წუთზე კუთხური დარტყმიდან ჩაწოდებული ბურთი, უმეთვალყურეოდ დატოვებულმა თბილისელთა მცველმა ხოჭოლავამ მეტოქის კარში გაგზავნა. არ გასულა ორიოდე წუთი და იგივე სურათი ამჯერად მასპინძელთა კართან განმეორდა - სალნიკოვმა გაათანაბრა ანგარიში. ამის შემდეგ “დინამო” მთელი დატვირთვით იწყებს თამაშს. ერთ-ერთი იერიშის დროს დებიუტანტი ჟორდანია მეტად ოსტატურად გადის “სპარტაკის” საჯარიმო მოედანზე, მაგრამ ვერ იყენებს ხელსაყრელ მომენტს. ასევე დაემართა დინამოელთა ცენტრალურ თავდამსხმელს კალოევს. ამის შემდეგ მოსკოველები თანდათან ეუფლებიან ინიციატივას, მაგრამ ანგარიში 90 წუთის გამთავრებამდე არ შეცვლილა. დამატებით მესამე ტაიმს მასპინძლები მეტად აგრესიულად იწყებენ და მარცხენა გარემარბ მესხს სპარტაკელთა კარში გააქვს გადამწყვეტი ბურთი. შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1. მათ მოიპოვეს მეოთხედფინალურ მატჩში მონაწილეობის უფლება.

“ლელო”, 7 ოქტომბერი, 1959 წ.